„დამტკიცებულია”
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ,
20.12.2018 წ, დადგენილება №80

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონცეფცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

მუხლი 1 .	კონცეფციის მიზნები და ამოცანები -	3
მუხლი 2	უნივერსიტეტის კვლევის პოლიტიკა -	6
მუხლი 3.	კვლევის პოლიტიკის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან, ხედვასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან - - - - - - - - - - - -	8
მუხლი 4.	კვლევის პრინციპები -	10
მუხლი 5.	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები - - - - - - - - - -	10
მუხლი 6.	ეთიკის კომიტეტის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები - - - - - - - - - - -	11
მუხლი 7.	ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა, დანიშვნა და ფორმირების წესი- -	13
მუხლი 8.	ეთიკის კომიტეტის მუშაობის წესი -	14

მუხლი 9.	განაცხადის წარდგენა ეთიკის კომიტეტში -	15
მუხლი 10.	კვლევის გეგმის ეთიკური შეფასება და გადაწყვეტილების მიღება - - -	15
მუხლი 11.	კვლევის მიმდინარეობაზე მონიტორინგი და მკვლევრის ვალდებულება -	17
მუხლი 12.	ინტერესთა კონფლიქტი -	21
მუხლი 13.	კონფიდენციალობა -	21
მუხლი 14.	გადაწყვეტილების მიღების პროცედურა -	21
მუხლი 15.	კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა (სამეცნიერო -კვლევითი ღონისძიებების საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემა) - - - - - - - -	22
მუხლი 16.	სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი -	24
მუხლი 17.	სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამებში	29
მუხლი 20.	სამეცნიერო საქმიანობის სტანდარტები (სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების წესი და პირობები) -	30
მუხლი 19.	დასკვნითი დებულებები -	33

მუხლი 1. კონცეფციის მიზნები და ამოცანები

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფციის მიზანია, საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო კვლევის ორგანიზებისა და განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების, კვლევის განმახორციელებელი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების, კვლევის მიმართულების განსაზღვრა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების ზოგადი პოლიტიკის ჩამოყალიბება.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობა არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი.

1.1. სამეცნიერო საქმიანობის გარემო

1.1.1. კვლევითი საქმიანობის ადმინისტრირება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ხელმძღვანელობს რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, რომელიც ზედამხედველობას უწევს სამეცნიერო ღონისძიებებს, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალებსა და პუბლიკაციებს. რექტორის მოადგილე კურირებს, ასევე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებას საგანმანათლებლო პროგრამებში და სწავლება/სწავლისა და კვლევის ინტეგრირებას. რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში,

განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარდგენილ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ანალიზს.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ეფუძნება ფაკულტეტის აკადემიური/სამეცნიერო რესურსსა და ინიციატივებს. ფაკულტეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განსაზღვრასა და დაგეგმვაში.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტნდარტის ამაღლებას. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა-შეფასების პროცესების კოორდინაციას, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების განხორციელების ორგანიზაციულ მხარდაჭერას, სამეცნიერო-კვლევის ფარგლებში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამეცნიერო კვლევის ეთიკის დაცვის კონტროლს, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებას.

1.2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევისთვის შესაფერის გარემოს. უნივერსიტეტი ორიენტირებულია ყოველწლიურად გააუმჯობესოს და გაზარდოს კვლევისთვის საჭირო ფინანსური რესურსი, საოფისე ფართი, აღჭურვილობა და უზრუნველყოს შესაბამის რესურსებზე წვდომა. კვლევითი გარემოს უზრუნველსაყოფად აქტიურად მიმდინარეობს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება (შესაბამის ობიექტებთან აფორმებს ურთიერთანამშრომლობის მემორუნდუმებს/ ხელშეკრულებებს), რაც ზრდის უნივერსიტეტის შესაძლებლობას, სრულად დააკმაყოფილოს სტუდენტთა და მკვლევართა საჭიროებები.

1.2.1. სამეცნიერო ბიბლიოთეკა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას აქვს აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი თანამედროვე დიზაინით მოწყობილი სამი სამკითხველო დარბაზი, რომლებიც განთავსებულია პირველ, მეორე და მესამე სასწავლო კორპუსში. სამივე კორპუსში ბიბლიოთეკა მოიცავს: სამკითხველო დარბაზს, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცეს, წიგნთსაცავს, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეს - შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცეს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების განხორციელებისათვის აუცილებელ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას ქართულ და უცხოურ ენებზე. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება ბიბლიოთეკის ფონდს. ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზებსა და კაბინეტებში, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. სილაბუსების მოთხოვნების შესაბამისად მუდმივად მიმდინარეობს სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის შეძენა და ფონდის შევსება.

სამკითხველო დარბაზები უზრუნველყოფილია ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერებით. მოხდა სჯუ-ნის სამეცნიერო ბიბლიოთეკის სრული კომპიუტერული კატალოგიზაცია (წიგნადი ფონდი 45 000 ერთეული).

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, ასევე არის საერთაშორისო სამეცნიერო საგამომცემლო სახლის ელსევიერის კონსორციუმის წევრი, რომელიც შეიქმნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. - შპს „ელსევიერთან (Elsevier B.V.) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტს აქვს უფლება მოიძიოს და გამოიყენოს ScienceDirect®onlain სამეცნიერო სტატიები 3,500 -ზე მეტი ჟურნალიდან და 34,000-ზე მეტი წიგნი. Scopus®onlain პლატფორმით სარგებლობისას შესაძლებელია მოვიძიოთ სამეცნიერო სტატიები რეფერირებადი ჟურნალებიდან, 113,000 ელექტრონული წიგნი, 27 მლნ. საერთაშორისო პატენტი. შესაძლებელია ცალკეული მეცნიერის, კვლევითი ცენტრისა და უნივერსიტეტის პუბლიკაციების რაოდენობის, ციტირებისა და H ინდექსების გამოთვლა. სამცხე-ჯავახეთის სახლმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ეძლევა უფლება მიიღოს მონაწილეობა პროექტში "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eIF

ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017 -თან გაფორმებული 10.02.2022წლის ხელშეკრულება № 2022/26, საფუძველზე შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი ელექტრონული რესურსები:

Cambridge Journals Online *(https://www.cambridge.org/core)*

e-Duke Journals Scholarly Collection *(https://read.dukeupress.edu/)*

Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books *(https://www.elgaronline.com/)*

European Respiratory Journal *(https://erj.ersjournals.com/)*

IMechE Journals *(https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE)*

Mathematical Sciences Publishers Journals *(https://msp.org/)*

Openedition Journals *(https://www.openedition.org/)*

Royal Society Journals Collection *(https://royalsociety.org/journals/)*

SAGE Journals *(https://journals.sagepub.com)*

The Company of Biologists' Journals *(https://www.biologists.com/development/)*

- უფასოდ გამოაქვეყნოს პუბლიკაცია *განსაზღვრული ჩამონათვალიდან* შემდეგ ელექტრონულ რესურსებში:

European Respiratory Journal

IMechE APCs for open access publishing

Royal Society Journals Collection

SAGE APCs for Open Access Journals

The Company of Biologists free open access publishing

(https://eifl.net/apcs?field_subject_tid_1=All&field_e_resource_type_apc_tid=All&field_publisher_vendor_tid_1=All&shs_term_node_tid_depth=818)

- ფასდაკლებით გამოაქვეყნოს პუბლიკაცია *განსაზღვრული ჩამონათვალიდან* შემდეგ ელექტრონულ რესურსებში:

Brill APCs for open access publishing

Cambridge University Press APCs for open access publishing

Edward Elgar Publishing APCs for open access publishing

Taylor & Francis APCs for open access journals

Wolters Kluwer Health APCs for open access journals

World Scientific APCs for open access publishing

(https://eifl.net/apcs?field_subject_tid_1=All&field_e_resource_type_apc_tid=All&field_publisher_vendor_tid_1=All&shs_term_node_tid_depth=819)

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში 2015 წელს გაიხსნა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფილიალი - საინფორმაციო ცენტრი, რის საფუძველზეც შესაძლებელია Cambridge Dictionaries Online ლექსიკონებით სარგებლობა. მოთხოვნის შესაბამისად ხელმისაწვდომია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის როგორც წიგნადი ფონდით (4 მლნ. წიგნი), ასევე ელექტრონული რესურსით (120 000 ერთეული) სარგებლობა. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე ეროვნული ბიბლიოთეკიდან იგზავნება გაციფრებული სახელმძღვანელოებიც. აღნიშნული ფილიალი ადგილობრივ მომხმარებელს ეხმარება სამეცნიერო საქმიანობის უკეთ წარმართვაში.

მუხლი 2. უნივერსიტეტის კვლევის პოლიტიკა

უნივერსიტეტი აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელიც ჩამოყალიბდა თსუ ახალციხისა და თსუ ჯავახეთის ფილიალების დროს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდანვე თსუ-ს ანალოგიით შეიქმნა საკათედრო სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდებოდა შესაბამისი თემატიკის მომზადება-დამუშავება, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა.

დაარსებიდანვე უნივერსიტეტში (ფილიალებში) დაწინაურდა კვლევები ფილოლოგიის, ისტორიისა და ეკონომიკის მიმართულებით, რადგან 1990 წლიდან არსებობდა სწორედ ამ სახელწოდების სამი ფაკულტეტი შესაბამისი კათედრებით. თანდათანობით დაემატა კვლევები ასტრონომიაში, განათლებაში, მათემატიკასა და სხვა დარგებში.

2012 წლიდან ორი უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა სასწავლო უნივერსიტეტი, ხოლო 2014 წლიდან სტატუსის ამაღლების საფუძველზე ჩამოყალიბდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რამაც განსაზღვრა არსებული სამეცნიერო ტრადიციების საფუძველზე ახალი სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკის შექმნა.

უნივერსიტეტის კვლევის ახალი პოლიტიკა დაეფუძნა მეცნიერების განვითარების ევროპულ სტანდარტებს, მის ზოგად პრინციპებს, რომელიც მოიცავს განახლებული ევროპულ კვლევით სივრცეში ინტეგრაციის ხელშემწყობ მექანიზმებს, კვლევისა და ინოვაციებზე დაფუძნებულ უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწებელებებს შორის ურთიერთობებს, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას, მიმზიდველ კვლევით კარიერულ განვითარებას, გაამარტივებულ საერთაშორისო მობილობას, სამეცნიერო ცოდნისა და ინოვაციების შექმნისას აკადემიური თავისუფლებისა და სამეცნიერო კცლევის თავისუფლების პატივისცემას, სამეცნიერო განათლებისა და კომუნიკაციის აქტივობების დაგეგმვას და ჩატარებას.

- **უნივერსიტეტის ნიშა**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის პოლიტიკა განპირობებულია იმ ნიშის ძიებით, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაღალ ხარისხს. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის - დოქტორანტურის არსებობამ უნივერსიტეტში განაპირობა გარკვეულ დარგებში კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტად გამოცხადება.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებად ჩამოყალიბდა:

- **ჰუმანიტარული მეცნიერებანი;**
- **აგრარული მეცნიერებანი;**
- **ეკონომიკური მეცნიერებანი;**
- **ვეტერინარია;**
- **ასტრონომია.**

თითოეულ დარგში განხორციელებული კვლევები აქტუალურია ჩვენი უნივერსიტეტისათვის და უკავშირდება როგორც სამცხე-ჯავახეთისვე მასშტაბით, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე წარმოებულ კვლევებს.

უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების განხორციელების უპირველესი სივრცე დაკავშირებულია სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამებთან, რადგან შეიქმნა საკუთარი სამეცნიერო კადრების მომზადების გარემო ახალგაზრდა კონტინგენტით.

- **კვლევის ხასიათი**

უნივერსიტეტი ცდილობს, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით კვლევებში. ფუნდამენტური ხასიათის კვლევები უნივერსიტეტში განხორცილდება ჰუმანიტარული მიმართულებით ფილოლოგია, ისტორია, ეთნოლოგია, კულტუროლოგიაში, თუმცა კვლევის შედეგები ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებით გარკვეული მოსაზრებით იძენს გამოყენებით ფუნქციას.

აგრარული მეცნიერებებიდან კვლევის ძირითადი თემატიკა რეგიონის დაკვეთაზე არის დამოკიდებული, ამიტომ მისი პრაქტიკული დანიშნულება მაღალია, ასევე ეკონომიკური მიმართულებით მუშავდება როგორც რეგიონის, ასევე უფრო მასშტაბური პრობლემატიკა.

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევები არის **ინტერდისციპლინური ხასიათის,** რაც განპირობებულია ასევე რეგიონის თავისებურებით. მაგალითად, ონომასტიკური კვლევები, რომელიც მიმდინარეობს ისტორიის, ეთნოლოგიის, გეოგრაფიის და სხვა მეცნიერებათა მეთოდოლოგიისა და კვლევითი შედგების გამოყენებით.

აგრარული და ეკონომიკური მიმართულებები ქმნის პერსპექტივას ბიოეკონომიკური ინტერდისციპლინური კვლევებისთვის.

უნივერსიტეტისთვის შედარებით ახალია ვეტერინარიის მიმართულებით კვლევები, რომლებიც ასევე ძირთადად ეფუძნება გამოყენებით კლინიკურ კვლევებს მიმართულებით: ინფექციური დაავადებები, თერაპია და პროფილაქტიკა; ცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობა; პათოლოგია, ონკოლოგია და მორფოლოგია.

- **კვლევის ინტერნაციონალიზაცია**

კვლევის ინტერნაციონალიზაციის გარეშე შეუძლებელია განვითარდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტში. ჩვენი კვლევის შედეგების აპრობაცია და შესაბამისად, ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში იწყება უშუალო მეზობლებთან ურთიერთობით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის გადაწყვეტილება, რომ პროფესორის ყოველგვარი წინსვლა განპირობული იქნება რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნელებში გამოქვეყნებული სტატიებით, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობით. საერთაშორისო კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშესაწყობად უნივერსიტეტს თავისი მხარდაჭერის მექანიზმები გააჩნია.

კვლევის ინტრენაციონალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია უცხოელი ან უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების ჩართვა ჩვენს სამეცნიერო საქმიანობაში. თურქი მეცნიერები კითხულობენ მოხსენებებს სამეცნიერო გულანზე, უწევენ ოპონირებას სადოქტორო დისერტაციას.

სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში ჩართული არიან საზღვარგარეთელი მეცნიერები, ეს მიმართულება უნივერსიტეტში გაძლიერდება.

- **სწავლისა და კვლევის ინტეგრაცია**

უნივერსიტეტისათვის პრინციპულია, რომ აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო საქმიანობა მოეთხოვება, როგორც მისი დატვირთვის სავალდებულო კომპონენტი. ამ გადაწყვეტილების მიზანია, რომ პროფესორის კვლევის შედეგები გამოყენებული იქნეს სასწავლო პროცესში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სადოქტორო საფეხურს, რადგან სწორედ აქ ხდება სწავლისა და კვლევის ინტეგრაცია ყველაზე მაღალ დონეზე. ახალგაზრდა მეცნიერები თავისი კვლევის შედეგს უშუალოდ იყენებენ სტუდენტებისთვის ახალი ცოდნის გადაცემის პროცესში.

ამ მიდგომის გათვალისწინებით უნივერსიტეტი აძლიერებს სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. ვიზიარებთ, მოსაზრებას, რომ „უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე კვლევაზე დაფუძნებული განათლების მეშვეობით ჩვენ უზრუნველვყოფთ მაღალი დონის უნარებსა და ინოვაციურ აზროვნებას, რომელიც სჭირდება თანამედროვე საზოგადოებებს და რომელზეც მომავალი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებაა დამოკიდებული" 3 EUA Aarhus Declaration -"Investing Today in Talent for Tomorrow". 2011) და ვითვალისწინებთ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში აუცილებელად მივიჩნევთ კვლევითი ასპექტების გათვალისწინებას, თუმცა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ურთიერთმიმართება დამოკიდებულია საგანმანათლებლო საფეხურზე, პროგრამის სწავლის სფეროზე, მიზნებსა და ამოცანებზე. ბუნებრივია, უმაღლესი განათლების საფეხურის ზრდასთან ერთად იცვლება ეს თანაფარდობა და, როგორც აღინიშნა, სადოქტორო საფეხურზე კვლევითი კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამის წამყვან კომპონენტად გვევლინება.

მუხლი 3. კვლევის პოლიტიკის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან, ხედვასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონცეფცია სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის ხედვას, მისიასა და ღირებულებებს.

სსიპ - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცხადებულ ხედვაში ცალსახად ხაზგასმულია პარტნიორ უნივერსიტეტებთან მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნის მნიშვნელობა. ხედვაში ასევე დაზუსტებულია კვლევის მიმართულებები: სოფლის მეურნეობის კუთხით (აგრარული, ვეტერინარია), ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები. სოციალური მეცნიერებები ცალსახად გულისხმობს ეკონომიკურ კვლევებს.

სსიპ - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია ცალსახად ხაზს უსვამს უნივერსიტეტის არჩევანს, საკუთარი ფუნქცია შეასრულოს სწავლებისა და კვლევის გზით, უზრუნველყოს ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული კვლევები.

მისიის განაცხადს ეხმიანება უნივერსიტეტის მიერ არჩეული ორი პრიორიტეტი, სადაც კვლევას ასევე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. **კვლევისა და სწავლა-სწავლების ინტეგრირებას, კომუნიკაციის გაფართოებას.**

მისიის განაცხადი, პრიორიტეტები, რომ არ დარჩეს დეკლარირებულ ინფორმაციად, უნივერსიტეტი სტრატეგიული განვითარების გეგემის 5 სტრატეგიული მიმართულებიდან პირველს კვლევას ასახელებს.

წარმოდგენილი დოკუმენტის მეორე მუხლში წარმოდგენილი კვლევის პოლიტიკა სისრულითაა ასახული სტარტეგიული გეგმით დასახულ სტრატეგიულ მიმართულებასთან - კვლევა. სტარტეგიულ გეგმაში ნათქვამია: დასახული სტრატეგიული მიმართულების რეალიზაცია უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. მიუხედავად იმისა, რომ დაარსებისთანავე უნივერსიტეტი აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას დიდ ყურადღებას აქცევდა, სტატუსის ამაღლების შემდეგ კვლევით საქმიანობაზე აქცენტირება და კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებული მიმართულებებით ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელება ჰუმანიტარული მიმართულებით, პრაქტიკული მნიშვნელობის კვლევები აგრარულ-ეკონომიკური კუთხით, რაც ორგანული და ბუნებრივია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. სამეცნიერო-კვლევის მიმართულებით უნივერსიტეტი გეგმავს შესაბამისი საქმიანობების როგორც ინტენსივობის, ასევე მასშტაბის გაზრდას. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულების ეფექტური განვითარებისათვის აუცილებელია უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შექმნა/განვითარება. მხარდამჭერი საქმიანობები შესაძლებელია მოიცავდეს საინფორმაციო-სასწავლო ღონისძიებებს, ლიტერატურის/გზამკვლევების/ინსტრუქციების მომზადება-გავრცელებას, კვლევასა თუ კონსულტირებას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ახალგაზრდა მეცნიერთა, დოქტორანტთა დახმარებაზე, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო სტანდარტის სამეცნიერო პროდუქციის შექმნა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება. არსებული ვითარების უკეთ გააზრებისა და ქმედითი სტრატეგიის შემუშავების მიზნით მნიშვნელოვანია კვლვის ხარისხის, აკადემიური პატიოსნების კულტურის დანერგვის მექანიზმების ხელშეწყობა და ინსტიტუციური განვითარების საკითხების სიღრმისეული შესწავლა. ამისათვის უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს განათლების სხვადასხვა საფეხურზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ სისტემატური მონიტორინგი, დაწესებულებების კვლევითი პოტენციალის შესახებ კომპლექსური კვლევის ჩატარების პრაქტიკის დანერგვა. ეს შესაძლებელს გახდის პროგრესის პერიოდულ შეფასებას და დაეხმარება როგორც უნივერსიტეტს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს კვლევის პოლიტიკის სწორი მიმართულებით წარმართვაში, საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებაში. უნივერსიტეტი მიმართულების გაძლიერებისათვის ასევე გეგმავს კვლევის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სერვისების განვითარებას. სტრატეგიული მიმართულების მისაღწევად განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და ღონისძიებები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ ორივე პრიორიტეტთან - კვლევისა და სწავლა-სწავლების ინტეგრირება, კომუნიკაციის გაფართოება.

უახლოესი 7 წლის განმავლობაში კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად უნივერსიტეტი 2 სტრატეგიულ მიზანსა და 7 ამოცანას გამოკვეთს, რაც ასევე გამომდინარეობს კვლევის პოლიტიკიდან.

მუხლი 4. კვლევის პრინციპები

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აღიარებული კვლევის პრინციპები ეყრდნობა საერთაშორისო გამოცდილებას, საკუთარ გამოცდილებასა და მეცნიერების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივ საფუძვლებს.

უნივერსიტეტი იზიარებს სახელმწიფოს მიერ გაცხადებულ მიდგომას: ,,რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების განვითარების, კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სულიერი აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქვეყნის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენას და ეკონომიკის წინსვლას. იგი უზრუნველყოფს ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა, როგორც ეროვნული კულტურისა და განათლების განუყოფელ ნაწილთა, განვითარებას და სამეცნიერო კვლევა შემოქმედებითი საქმიანობის ფორმად მიაჩნია“ (საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ).

4.1 **სამეცნიერო საქმიანობის თავისუფლება** - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სამი ღირებულებიდან პირველი თავისუფლებაა, რაც კვლევითი საქმიანობისას სამეცნიერო მოღვაწეობის თავისუფლებაში ვლინდება. უნივერსიტეტი პრინციპად იღებს მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს, რომელიც მეცნიერის გარანტიებს ეხება და სადაც აღნიშნულია, რომ მეცნიერს უფლება აქვს:

- განახორციელოს მეცნიერული კვლევა-ძიება გარედან ნებისმიერი ჩარევის გარეშე და გამოქვეყნოს კვლევის შედეგები წინასწარი განწყობების გაუთვალისწინებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან კვლევები სახელმწიფო საიდუმლოს შემცველია;
- დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო გამოკვლევის შინაარსი, მეთოდები და საშუალებები.

4.2. შიდა სამეცნიერო კვლევითი გრანტები - შიდა სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლა-ანალიზი; იგი ემსახურება უნივერსიტეტში კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნას, მაღალი ხარისხის კვლევების, მათ შორის – საერთაშორისოს, განვითარებას, კვლევის ინტეგრაციას სასწავლო პროცესში და კვლევებში ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვის გზით მათი სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას.

საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა:

საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ 6-12 თვე და მაქსიმუმ 36 თვე. თვეების რაოდენობა უნდა იყოს 6-ის ჯერადი და შეესაბამებოდეს 6-თვიან საანგარიშო პერიოდებს.

პროექტში მონაწილეობის უფლება აქვს:

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, უნივერსიტეტის დოქტორანტს, მაგისტრანტსა და ბაკალავრს, აგრეთვე სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, მოწვეულ პერსონალს.

სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ზოგადი მიმართულებები:

გარკვეული პერიოდულობის დაცვით, ხდება სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ზოგადი მიმართულებების ფორმირება და მის ფარგლეში საუნივერსიტეტო პრიოროტეტების გამოკვეთა.

დაფინანსების წყაროები და ადმინისტრირება:

ა) პროექტები ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და მოზიდული თანხებიდან (გრანტის შემოწირულობები და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლები);

ბ) პროექტების ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის შიდა სამეცნიერო გრანტების შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომში კომისია) კვლევის ეთიკის კომიტეტთან (შემდგომში ეთიკის კომიტეტი) კოორდინაციით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უფლებამოსილმა სუბიექტებმა დადგენილ ვადებში უნდა წარმოადგინონ <u>საგრანტო პროექტის განაცხადი</u> ხელმოწერილი ნაბეჭდი სახით თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ამავე დოკუმენტის მე-11 მუხლის - "კვლევის მიმდინარეობაზე მონიტორინგი და მვლევარის ვალდებულება", დანართი 1-ის შესაბამისად.

დაფინანსება და საგრანტო ხელშეკრულების პირობები:

4.2.1. უნივერსიტეტის შიდა სამეცნიერო გრანტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ ეთიკის კომიტეტთან კოორდინაციით დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენის შემდეგ უნივერსიტეტი გრანტის მიმღებთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც გაიწერება მხარეთა უფლება-მოვალეობები.

4.2.2. საგრანტო ხელშეკრულებას ხელს აწერს ორივე მხარის წარმომადგენელი: ერთი მხარე უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხოლო, მეორე მხრივ, პროექტის (სამეცნიერო) ხელმძღვანელი.

4.2.3. პროექტის განხორციელება უნდა დაექვემდებაროს ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობებს.

4.2.4. ხელშეკრულების თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებულია, აწარმოოს გრანტთან დაკავშირებული პირველადი საბუთების ფინანსური აღრიცხვა;

4.2.5. გრანტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის წარმოება სავალდებულოა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2.6. გრანტის დაფინანსება განხორციელდება ეტაპობრივად, ტრანშერის მიხედვით, პროექტის ღირებულების, ხანგრძლივობისა და ჩატარებული სამუშაოების შესახებ ანგარიშის/ანგარიშების შესაბამისად;

4.2.7. ხელშეკრულების თანახმად, ყოველი შემდგომი ტრანში გრანტის მიმღებს გადაერიცხება პროექტის (სამეცნიერო) ხელმძღვანელის მიერ კომისიის წინაშე წარმოდგენილი შუალედური ანგარიშის საფუძველზე.

4.2.8. იმ შემთხვევაში, თუ გრანტით დაფინანსებული პროექტის განხორციელების პერიოდში, გრანტის მიმღებმა მხარემ დაარღვია საგრანტო ხელშეკრულების პირობები ან არასაპატიო მიზეზების გამო ვერ შეასრულა დასახული ამოცანები, კომისიას შეუძლია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე დააყენოს ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.

4.2.9. დასაფინანსებელი პროექტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს; მოთხოვნილი თანხის მოცულობა განისაზღვრება ყოველწლიურად, უნივერსიტეტის ბიუჯეტის და სამეცნიერო პრაქტიკული კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.

4.2.10. პროექტის განაცხადი შესაძლებელია, ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას; თანადაფინანსება შესაძლებელია იყოს როგორც მონაწილე მხარე, ასევე სხვა საერთაშორისო/ადგილობრივი ორგანიზაცია.

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკისა და კეთილსინდისიერების ნორმები

ეთიკა სამეცნიერო სამყაროში კეთილსინდისიერი სამეცნიერო კვლევის მნიშვნელოვანი საყრდენია. თანამშრომლებსა და სტუდენტებს უნივერსიტეტი სახელმძღვანელო პრინციპებად უწესებს ეთიკური ქცევისა და კვლევის კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას, კვლევის პასუხისმგებლიანად წარმართვას, სადაც უპირველესი აკადემიური კეთილსინდისიერებაა, რაც პლაგიატის თავიდან აცილების საშუალებას წარმოადგენს. უნივერსიტეტში პლაგიატის წინააღმდეგ რეგულაციების მთავარი მიზანი ქმედითი პრევენციული ღონისძიებების გატარებაა.

1. წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტის უფლებამოსილებას, ადგენს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული და თანაორგანიზებული, დაფინანსებულ თუ თანადაფინანსებულ სამეცნიერო კვლევების ეთიკური მხარის შეფასების წესებსა და პროცედურებს.

2. წინამდებარე მუხლის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ, ასევე, უნივერსიტეტის პერსონალის სხვა დაწესებულებებთან/სხვა დაწესებულებების პერსონალთან თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე სუდენტთა მიერ განხორციელებულ სამეცნიერო კვლევებზე.

3. კვლევის ეთიკის რეგულირების მისიაა სამეცნიერო კვლევის მონაწილეთა უფლებების, უსაფრთხოების, ღირსებისა და კეთილდღეობის დაცვა იმგვარი ეთიკური კვლევების წახალისებით, რომელიც სარგებლის მომტანი იქნება უნივერსიტეტის, მეცნიერებისა და საზოგადოებისათვის.

4. დოკუმენტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს კვლევის სანდო, პროპორციული და პასუხისმგებლიანი ეთიკური შეფასება, საუნივერსიტეტო ეთიკის კომიტეტის მეშვეობით.

5. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური, მოწვეული პერსონალის, მეცნიერ-თანამშრომლების ჩართულობით განხორციელებული ნებისმიერი სამეცნიერო კვლევა უნდა განხორციელდეს საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური პრინციპების შესაბამისად, როგორიცაა:

ა) ავტონომიის პრინციპი

ნების ავტონომიის პრინციპის დაცვა ხორციელდება თავისუფალი ინფორმირებული თანხმობის შედეგად, რომლის უკან გამოწვევაც დასაშვებია პირობის გარეშე ნებისმიერ დროს. კვლევის პოტენციურ მონაწილეებს კვლევაში ჩართულობის გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მიეწოდოთ შესაბამისი, ზუსტი და გასაგები ინფორმაცია კვლევითი პროექტის შესახებ. განემარტოთ ეთიკური ქცევის პრინციპები და ეთიკის კომიტეტის გადაწყვეტილებების გათვალისწინების აუცილებლობა.

ბ) სარგებლიანობისა და უვნებლობის პრინციპი

სარგებლიანობისა და უვნებლობის პრინციპები ასახავს კვლევის მორალურ ვალდებულებას გაზარდოს პოტენციური სარგებელი და შეამციროს შესაძლო რისკი/ზიანი კვლევის მონაწილეთათვის. კვლევითი პროექტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს სამეცნიერო ვარგისიანობის სტანდარტებს, ასევე, მკვლევარებს მოეთხოვებათ კვლევის განხორციელება შესაბამისი პროფესიული სტანდარტებისა და ვალდებულებების დაცვით, რათა უზრუნველყონ კვლევის მონაწილეთა საჭირო დაცულობა.

გ) სამართლიანობის პრინციპი

კვლევის მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები უნდა გამომდინარეობდეს კვლევის მიზნებიდან და არ იყოს დაფუძნებული, მაგალითად, მარტოოდენ მონაწილეთა თანხმობის ადვილად მიღების გარემოებაზე.

მუხლი 6. ეთიკის კომიტეტის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

აქ ხომ არ მიუწეროთ: ეთიკის კომიტეტის ფორმირება, უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები განისაზღვრა ETHICS-Erasmus+ პროექტის ფარგლებში გაზიარებული ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით (კემბრიჯი, ოქსფორდი(დიდი ბრიტანეთი), მერუსა (კენია) და ლეიდენის(ნიდერლანდები)

1. ეთიკის კომიტეტის მიზანი:
1. ეთიკის კომიტეტის მიზანია პერსონალის მიერ დაგეგმილი სამეცნიერო ექსპერიმენტალური კვლევების საყოველთაოდ აღიარებული ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, კვლევის გეგმის ეთიკური შეფასება, კვლევის ჩასატარებლად დადებითი დასკვნის გაცემა და მიმდინარე კვლევების მონიტორინგის განხორციელება.
2. ეთიკის კომიტეტის ამოცანები:
1. სამეცნიერო მეთოდებისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევებში ჩართული პირების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას.
2. ხელი შეუწყოს კვლევის ზოგადი კულტურის ამაღლებას, განავითაროს კომუნიკაცია მკვლევარებსა და საზოგადოებას შორის, ხელი შეუწყოს კვლევების ეთიკის შესახებ ცნობადობის ამაღლებას.
3. დაადგინოს, რომ კვლევა ეთიკურად ხორციელდება; ხელი შეუწყოს კვლევის ზოგადი კულტურის ამაღლებას, განავითაროს კომუნიკაცია მკვლევარებსა და საზოგადოებას შორის, ხელი შეუწყოს კვლევების ეთიკის შესახებ ცნობადობის ამაღლებას.
4. ეთიკის კომიტეტის ამოცანაა სამეცნიერო მეთოდებისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევებში ჩართული პირების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას.
3. ეთიკის კომიტეტის როლი კვლევის პროცესში განისაზღვრება შემდეგით:
1. მკვლევარების ინფორმირება, საჭიროებისამებრ, კვლევის დაგეგმვის ეტაპზე; წარმოდგენილი კვლევითი პროექტის ეთიკის შეფასება, კვლევის განხორციელების დროს უკუკავშირი, კვლევის განხორციელების ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით კვლევის დასრულებისას კვლევის ანგარიშების შეფასება.

4.ეთიკის კომიტეტის ფუნქციები:

4.1. ეთიკის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა უნივერსიტეტის ფარგლებში წარმოებული სამეცნიერო ექსპერიმენტული კვლევების შესაბამისობის უზრუნველყოფა საყოველთაოდ აღიარებული ეთიკურ და სამართლებრივ სტანდარტებთან;

4.2. კვლევის გეგმის ეთიკური შეფა3/////სება და სათანადო დასკვნის მომზადება;

4.3. მიმდინარე კვლევების მონიტორინგი იმის დასადასტურებლად, რომ კვლევა ტარდება კვლევის გეგმის ფარგლებში და საყოველთოდ აღიარებული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად;

4. მკვლევართა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა;

5. საჭიროებისამებრ რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტისათვის კვლევის ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით;
6. ეთიკის კომიტეტის მიერ შეფასებული კვლევების მონაცემთა რეგისტრაცია;
7. ეთიკის კომიტეტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და აკადემიური საბჭოსთვის წარდგენა;
8. კვლევის რისკებისა და პოტენციური უპირატესობებების შეფასება და ურთიერთშეწონვა;
9. კვლევის დიზაინის სამეცნიერო ვალიდურობის შეფასება, სანდო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.
10. სხვა საქმიანობა, რომლის მიზანია კვლევების ეთიკის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება უნივერსიტეტში.

მუხლი 7. ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა, დანიშვნა და ფორმირების წესი[1]

1. უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტი (შემდგომში - ეთიკის კომიტეტი) არის დამოუკიდებელი, მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და ანგარიშების განხილვას, კვლევის ფარგლებში მისი მონაწილეთა ღირსების, ფუნდამენტური უფლებების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის სათანადო დონით დაცვასა და შეფასებას.
2. თავის საქმიანობაში ეთიკის კომიტეტი უფლებამოსილია, მოახდინოს კონსულტირება შესაბამის ინსტიტუციებთან, მარეგულირებელ ორგანოებთან და საზოგადოებრივი ინტერესების მატარებელ სხვა სუბიექტებთან.
3. ეთიკის კომიტეტის წევრები ექვემდებარებიან ტრენინგს საერთაშორისო და ადგილობრივი ეთიკური სტანდარტების, კვლევის განხორციელების პრინციპებისა და კომიტეტის საქმიანობის ნაწილში.
4. ეთიკის კომიტეტის შემადგენლობაში შედიან:

- კვლევის მიმართულების შესაბამისი განათლების მქონე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი (კომიტეტის შემადგენლობის ძირითადი ნაწილი);
- ფსიქოლოგი;
- სოციოლოგი (მოწვეული იქნება კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე)
- იურისტი.
- ფინანსისტი
- ეთიკის კომიტეტი სარგებლობს კვლევის კეთილსინდისიერების ოფიცრის[2] კონსულტაციით, რომლის ფუნქციაა:
  - ❖ შიდა რეგულაციებთან შესაბამისობის დადგენა კვლევითი გადაცდომის მართვისა და შეტყობინებისთვის;
  - ❖ კვლევითი გადაცდომის ბრალდებების მიღება და შეფასება;

---

[1] ეთიკის კომიტეტის ფორმირება, უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები განისაზღვრა ETHICS-Erasmus+ პროექტის ფარგლებში გაზიარებული ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით (კემბრიჯი, ოქსფორდი(დიდი ბრიტანეთი), მერუსა (კენია) და ლეიდენის(ნიდერლანდები)

[2] ETHICS-Erasmus+ პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტს ჰყავს გადამზადებული პერსონალი

- ❖ ბრალდებების გამოკითხვის და გამოძიების მართვა;
- ❖ მკვლევრების, პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრატორებისთვის მითითებების, ინფორმაციისა და ცოდნის მიწოდება კვლევის არასწორ ქცევასთან დაკავშირებული მარეგულირებელი მოთხოვნების ინტერპრეტაციისა და განხორციელების შესახებ.
- ❖ შიდა შეტყობინებების პროცესების განხილვა, მართვა და ცვლილებების მოთხოვნა
- ❖ პასუხისმგებლობები: ხელი შეუწყოს:
- ❖ საკონსულტაციო სამსახურის (კომიტეტის/კომისიის) მუშაობას კვლევის კეთილსინდისიერების შესახებ;
- ❖ პუბლიკაციების მომზადებას, დაბეჭდვასა და გავრცელებას კვლევისკეთილსინდისიერებასა და სხვა თემებზე

5. ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.

6. ეთიკის კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში მოიწვევა ეთიკის კომიტეტის სხდომა, სადაც კომიტეტი თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარეს, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

7. ეთიკის კომიტეტი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწვეული იქნეს განსახილველი კვლევის (შესაფასებლად წარმოდგენილი) შესაბამისი სფეროს/მიმართულების სპეციალისტი/ სპეციალისტები (შემდეგომში "მოწვეული პირი"), რომელიც კომიტეტის სხდომებში მონაწილეობს სათათბირო ხმის უფლებით.

8. კომიტეტის მუშაობის პროცედურულ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს სხდომის მდივანი.

8.1. ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) ამზადებს, იწვევს და ხელმძღვანელობს კომიტეტის შეხვედრებს;

ბ) წარმოადგენს კომიტეტის უფლებამოსილ ორგანოს საზოგადოების წინაშე;

გ) შეიმუშავებს კომიტეტის სხდომებისა და კომიტეტის სხვა საქმიანობების გეგმას;

დ) უზრუნველყოფს დროულ პასუხს კომიტეტის სახელზე შემოსულ განცხადებებზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სხვა ფუნქციების შესრულებას.

ვ) ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს მისი არყოფნის შემთხვევაში.

8.2. კომიტეტის სხდომის მდივანი:

ა) უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათ შორის დოკუმენტების მომზადებას კომიტეტისთვის, აწარმოებს კომიტეტის სხდომებისა და სხვა აქტივობების ოქმებს;

ბ) კომიტეტის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის დახმარებით ამზადებს დოკუმენტებს კომიტეტის სხდომებისთვის;

გ) ამზადებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სხდომის ოქმების ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის.

9. ეთიკის კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) გარდაცვალება, გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

გ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;

დ) ადმინისტრაციული წევრის შემთხვევაში, იმ ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც ითვალისწინებს კომიტეტის წევრობას.

9.1. ეთიკის კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 8. ეთიკის კომიტეტის მუშაობის წესი

1. ეთიკის კომიტეტი სხდომებს მართავს იმ სიხშირით, რაც აუცილებელია მისი ფუნქციების შესასრულებლად.
2. ეთიკის კომიტეტი მუშაობას წარმართავს წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით. სხდომას ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე.
3. ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე, კომიტეტის მდივნის მეშვეობით, ეთიკის კომიტეტის სხდომის დღის წესრიგს უგზავნის ეთიკის კომიტეტის წევრებს სხდომის ჩატარების თარიღამდე გონივრული ვადით ადრე.
4. ეთიკის კომიტეტის უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება, სულ მცირე წევრთა 2/3.
5. კენჭისყრის შემდეგ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მხარს დაუჭერს სხდომის მონაწილეთა უმრავლესობა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომიტეტის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.
6. ეთიკის კომიტეტის საქმიანობა აისახება სხდომის ოქმებში. კომიტეტის მდივანი აფორმებს კომიტეტის სხდომის ოქმს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ეთიკის კომიტეტის სხდომის თარიღი;

ბ) სხდომის მონაწილეთა ჩამონათვალი;

გ) სხდომის დღის წესრიგი;

დ) ეთიკის კომიტეტის დასკვნა თითოეული განხილული საკითხის შესახებ;

ე) თანმხლები დოკუმენტების ნუსხა.

ვ) ეთიკის კომიტეტის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

7. ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარეს კომიტეტის სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეუძლია მოიწვიოს პირები, რომლებიც არ არიან ეთიკის კომიტეტის წევრები. მოწვეული პირების შესახებ ინფორმაცია კომიტეტის წევრებს მიეწოდებათ დღის წესრიგთან ერთად.

მუხლი 9. განაცხადის წარდგენა ეთიკის კომიტეტში

1. განცხადება კვლევის გეგმის ეთიკური შეფასების მოთხოვნის შესახებ (დანართი №1) და ეთიკური ექსპერტიზისათვის საჭირო ყველა სხვა თანდართული დოკუმენტი უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურის მეშვეობით გადაეცემა ეთიკის კომიტეტის მდივანს.
2. ეთიკის კომიტეტმა შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც კვლევის გეგმის ეთიკური შეფასებისთვის არის აუცილებელი.
3. უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახური უზრუნველყოფს ეთიკის კომიტეტში შემოსული განაცხადის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით

რეგისტრაციას შესაბამისი ნომრით, სადაც ფიქსირდება კვლევის დასახელება, განაცხადის შემოტანის თარიღი, მთავარი მკვლევარის პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, თანამდებობა) და დაწესებულების, ორგანიზაციის ან საინიციატივო ჯგუფის დასახელება (რომელიც ატარებს კვლევას).

მუხლი 10. კვლევის გეგმის ეთიკური შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

1. ეთიკის კომიტეტის მდივანი ატარებს კვლევის გეგმის განაცხადისა და თანმხლები დოკუმენტაციის პირველად შეფასებას იმის დასადგენად, თუ რამდენად სრულყოფილად არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
2. დოკუმენტაცია თუ სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი, მზადდება დასკვნა, რომელშიც მითითებულია არასათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების ჩამონათვალი ან იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელთა წარმოდგენაც აუცილებელია, მაგრამ არ არის წარმოდგენილი.
3. სრულფასოვნად წარმოდგენილი დოკუმენტაციას მდივანი, ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შესაფასებლად უგზავნის კომიტეტის წევრებს და შესაბამისი დარგის მოწვეულ პირებს. ეთიკის კომიტეტის წევრმა ან/და მოწვეულმა პირებმა უარი უნდა თქვას კვლევის გეგმის შეფასებაზე, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში.
4. ეთიკის კომიტეტი განიხილავს კვლევის გეგმას, აფასებს მის ეთიკურ ასპექტებს და განსაზღვრავს დასაშვებია თუ არა კვლევის ჩატარება ეთიკური თვალსაზრისით. განხილვისას ძირითადი მომხსენებლები არიან ეთიკის კომიტეტის წევრები, რომლებსაც წინასწარ გადაეცათ შესაფასებლად კვლევის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების სრული კომპლექტი. ასევე კვლევის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების სრული კომპლექტი გადაეცემათ მოწვეულ პირებს (ასეთის არსებობისას). განხილვაში მონაწილეობს კომიტეტის ყველა დამსწრე წევრი.
5. ეთიკის კომიტეტის წევრებმა, რომლებიც ჩართული არიან ინტერესთა კონფლიქტში, არ უნდა მიიღონ მონაწილეობა მოცემული კვლევის გეგმის ეთიკურ შეფასებაში.
6. კვლევის გეგმის ეთიკური შეფასებისას ეთიკის კომიტეტის წევრები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობითა და საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტებით. მათ შორის, ეთიკის კომიტეტის წევრებმა უნდა შეაფასონ:

ა) კვლევის საჭიროება და მასში მითითებული ობიექტების გამოყენების აუცილებლობა;

ბ) რამდენად საკმარისია მკვლევარისა და მისი გუნდის კვალიფიკაცია და გამოცდილება მოცემული კვლევის ჩასატარებლად;

გ) როგორია კვლევის რისკი და მოსალოდნელი სარგებელი და რამდენად მისაღებია არსებული რისკის პირობებში კვლევის ჩატარება დასახული მიზნების მისაღწევად;

დ) საჭიროების შემთხვევაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია შეაფასოს კვლევის სხვა მახასიათებლები.

7. ეთიკის კომიტეტის დასკვნა შეიძლება იყოს შემდეგი:

ა) დამტკიცდეს ცვლილების გარეშე (თანხმობა), რაც მკვლევარს უფლებას აძლევს ჩაატაროს კვლევა კვლევის გეგმის ფარგლებში, მასში ყოველგვარი ცვლილებების შეტანის გარეშე;

ბ) დამტკიცდეს დათქმით (პირობითი თანხმობა შესწორებებით), რაც მკვლევარს აძლევს კვლევის დაწყების უფლებას, მხოლოდ გეგმაში ეთიკის კომიტეტის მიერ რეკომენდებული კონკრეტული ცვლილებების შეტანის და/ან მოთხოვნილი დამატებით ინფორმაციის წარდგენის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილ ცვლილებებს აფასებს შესაბამისი დარგის რეცენზენტი (ექსპერტი), რომლის საფუძველზე კომიტეტი გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

გ) უარი მომდევნო სხდომამდე, რაც გულისხმობს, რომ მოცემული კვლევის გეგმა საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას, რომლის შემდეგ ის შეიძლება განხილული იქნეს კომიტეტის რომელიმე მომდევნო სხდომაზე;

დ) საბოლოო უარი, რაც გულისხმობს, რომ მოცემული კვლევა არ უნდა ჩატარდეს.

8. მითითებულთან ერთად დასკვნა შეიძლება შეიცავდეს მოთხოვნას: ეთიკის კომიტეტისადმი კვლევის მიმდინარე ანგარიშის ან ანგარიშების წარდგენის შესახებ;

9. კვლევის გეგმის განმეორებით შეფასების საჭიროების შესახებ, როცა კვლევის დიდი ხანგრძლივობის (რამდენიმე წელი) და/ან მაღალი რისკის ან სხვა გარემოებების გამო არსებობს სიფრთხილის საფუძველი;

10. ეთიკის კომიტეტის მიერ დასკვნა კვლევის გეგმის ეთიკური შეფასების შესახებ გაიცემა არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში კომიტეტისადმი კვლევის სრულყოფილი დოკუმენტაციის გადაცემის დღიდან.

11. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია შეფასების ვადის შემცირება ან გაზრდა, რისთვისაც აუცილებელია ეთიკის კომიტეტის დასაბუთებული გადაწყვეტილება.

12. ეთიკის კომიტეტის დასკვნა ფორმდება ოქმში;

13. მკვლევარს ან მის წარმომადგენელს მოთხოვნისამებრ ეძლევა ამონაწერი ოქმიდან, რომელშიც მითითებულია კვლევის გეგმის განხილვის შედეგი და ეთიკის კომიტეტის დასკვნა.

14. კვლევის ეთიკის საქმის წარმოების მასალები ინახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

მუხლი 11. კვლევის მიმდინარეობაზე მონიტორინგი და მვლევარის ვალდებულება

1. ეთიკის კომიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს იმ კვლევის მიმდინარეობის მონიტორინგი, რომელზეც გასცა დადებითი დასკვნა.
2. ეთიკის კომიტეტი:

ა) განიხილავს მკვლევარის მიერ წარმოდგენილ შუალედურ და დასკვნით ანგარიშებს კვლევის მიმდინარეობის შესახებ;

ბ) განმეორებით განიხილავს კვლევის გეგმას, თუ ამის შესახებ მიღებულია ეთიკის კომიტეტის გადაწყვეტილება;

გ) საჭიროებისას მოითხოვს და განიხილავს ინფორმაციას კვლევის მიმდინარეობის შესახებ.

3. მკვლევარი ვალდებულია აცნობოს კვლევის ეთიკის კომიტეტს:

ა) კვლევის გეგმაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

ბ) კვლევის პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხის შესახებ, რამაც შეიძლება განაპირობოს კვლევის განმეორებითი ეთიკური შეფასების საჭიროება.

17. ანგარიშგება, მონიტორინგი, შეფასება

1. გრანტის მიმღები ვალდებულია ეთიკის კომისიას ყოველკვარტალურად წარუდგინოს პროექტის მიმდინარეობის შესახებ შუალედური ანგარიში, რომელიც შედგება ორი, პროგრამული და ფინანსური ნაწილისაგან.
2. საჭიროებისამებრ, ეთიკის კომისიის მოთხოვნის შესაბამისად, პროექტის ხელმძღვანელმა წარმოადგინოს საგრანტო პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი. ეთიკის კომიტეტი ვალდებულია ნებისმიერ დროს, ადგილზე განახორციელოს პროექტის მონიტორინგი;
3. ეთიკის კომისია ამოწმებდ კვარტალურ ანგარიშს და ადგენს შესაბამის აქტს. ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში, ამ აქტის საფუძველზე, აღძრავს შუამდგომლობას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძრვანელთან შემდგომი ტრანშის გადარიცხვის შესახებ. თუ შემოწმების დროს გამოიკვეთა გამოსწორებადი ხასიათის შეცდომები, გრანტის მიმღებს ეძლევა მისი გამოსწორების საშუალება. თუ გრანტის მიმღების მხრიდან ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, ამ შემტხვევაში დაფიქსირდება შესაბამისი აქტი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე დაისმება პროექტის შემდგომი დაფინანსების შეწყვეტის საკითხი;
4. პრორექტის დასრულების შემდეგ, ორი თვის განმავლობაში, უნივერსიტეტში წარმოდგენილი უნდა იყოს დასკვნითი სამეცნიერო ანგარიში;
5. პროექტის დახურვა ხდება გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასკვნითი სამეცნიერო ანგარიშის, აგრეთვე, მონიტორინგის შედეგად გაკეთებული დასკვნების საფუძველზე.
6. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება რჩება უნივერსიტეტს.

მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი

1. ინტერეთა კონფლიქტი კვლევაში წარმოიშობა, როდესაც მკვლევარებს ან კვლევის განმახორციელებელ დაწესებულებებს გააჩნიათ კერძო ინტერესი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კვლევის განხორციელების პროცესზე.

2. კომიტეტის წევრების შერჩევისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

3. კონკრეტულ კვლევასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტის მქონე კომიტეტის წევრები არ ღებულობენ მონაწილეობას შესაბამისი კვლევის პროექტის შეფასებაში.

4. მკვლევარებმა უნდა წარმოუდგინონ კომიტეტს ინფორმაცია კვლევითი პროექტიდან გამომდინარე მათი ყველა სახის ფინანსური დაინტერესების შესახებ.

5. კომიტეტს წარედგინება კვლევის ბიუჯეტი და კვლევის მონაწილეთა ფინანსური ინტერესების ამსახველი სხვა დოკუმენტაცია.

6. კვლევის კონტრაქტით არ შეიძლება განისაზღვროს დონორის უფლება ვეტო დაადოს ნაშრომის პუბლიკაციას.

7. ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. კონფიდენციალობა

1. კვლევის ეთიკის კომიტეტი უნდა დარწმუნდეს რომ უზრუნველოფილია ინფორმაციის დაცულობა მოთხოვნების შესაბამისად.

2. კვლევითი პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის არაავტორიზებული წვდომისგან და გააშკარავებისგან დაცვის შესაძლებლობა.

3. პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციად განიხილება ყველა ინფორმაცია რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის საინდენტიფიკაციო ნომრის, ან მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიურ, კულტურულ ან სოციალური მახასიათებლის შესაბამისად.

4. ეტიკის კომიტეტი სწავლობს, რამდენად დაცული იქნება კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია გასაჯაროებისგან და რამდენად უზრუნველყოფილია ინფორმაციის გამჟღავნების რისკის მინიმიზაცია. ეს მოიცავს:

ა) ინფორმაციას კონკრეტულ კვლევაში ინდივიდის მონაწილეობაზე;

ბ) კვლევის დროს შეგროვებულ ინფორმაციას;

გ) კვლევის შედეგად გამოვლენილ ინფორმაციას;

მუხლი 14. გადაწყვეტილების მიღების პროცედურა

1. ეთიკის კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს საკითხი თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ორი მესამედი.

2. გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3. კომიტეტის პირველი სხდომა იმართება არაუგვიანეს თხუთმეტი დღისა მისი ფორმირებიდან და პირველ სხდომაზე ფარული კენჭისყრით ირჩევენ თავჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს, თავიანთი შემადგენლობიდან.

4. კომიტეტის თავმჯდომარე წარმოადგენს კომიტეტს და წარმართავს მის სხდომებს, მისი არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ასრულებს მოადგილე.

5. ეთიკის კომიტეტში გადაწყვეტილება მიიღება განაცხადის განხილვის შედეგად, მას შემდეგ რაც სხდომაზე დამსწრე დაინტერესებული მხარეები ტოვებენ შეხვედრას.

2. ეთიკის კომიტეტი ამოწმებს რამდენად სრულადაა წარმოდგენილია ინფორმაცია და დოკუმენტაცია სააპლიკაციო ფორმისა და ამ დებულების შესაბამისად

3. ეთიკის კომიტეტი უფლებამოსილია გადაწყვეტილებას დაურთოს თავისი არასავალდებულო რეკომენდაცია.

4. კენჭისყრისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, განსხვავებული აზრის მქონე წევრები აფიქსირებენ თავიანთ განსხვავებულ აზრს სათანადო დასაბუთებით.

5. გადაწყვეტილებაში ფიქსირდება ეთიკის კომიტეტის წევრების სახელი და გვარი, კვლევის სათაური, ხელმოწერა და მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 15. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა (სამეცნიერო -კვლევითი ღონისძიებების საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემა)

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და წახალისებისთვის უნივერსიტეტი ფინანსური დაგეგმვის დროს

ითვალისწინებს კვლევითი საქმიანობის დაფინანსების, თანადაფინანსების პროცედურებსა და უფლებამოსილ ორგანოებს.

2. უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან კვლევის განვითარებისათვის გამოყოფილი დაფინანსება;

ბ) საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში მიღებული დაფინანსება;

გ) გარე წყაროებიდან მიღებული დაფინანსება.

3. აღნიშნული დაფინანსების გამოყენება შესაძლებელია კვლევითი პროექტის როგორც სრულად ასევე, თანადაფინანსებისთვის. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ კვლევებისთვის დადგენილი ბიუჯეტის ოდენობა იყოს შენარჩუნებული ან გაზრდილი ყოველი მომავალი წლისათვის.

4. საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით ღონისძიებებში უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი ზრუნავს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებზე, როგორც პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის. მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმები გაწერილია უნივერსიტეტის შინაგანაწესით. აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის ის მოიცავს შინაგანაწესის შემდეგ მუხლებს: „მუხლი 21. აკადემიური შვებულება“:

1. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს პროფესიული განვითარების მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ ისარგებლოს ანაზღაურებადი სამეცნიერო შვებულებით (აკადემიური შვებულება) აკადემიური კალენდრით დადგენილი ერთი სემესტრის ვადით.

2. აკადემიური შვებულების მოთხოვნის უფლება აქვს იმ პირს, რომელიც აკადემიური შვებულების მოთხოვნამდე უწყვეტად 5 წელი მუშაობს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე და აფილირებულია უნივერსიტეტთან ხოლო იმ პირს, ვინც უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დაკავებიდან 5 წლის ვადაში უკვე ისარგებლა აკადემიური შვებულებით, უფლება აქვს მომდევნო 5-წლიან პერიოდში ნებისმიერ დროს ისარგებლოს აკადემიური შვებულებით.

3. აკადემიურ შვებულებაში გასვლის მსურველმა აკადემიური კალენდრით დადგენილი სემესტრის დაწყებამდე ერთი თვით ადრე წერილობით უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელიც საკითხს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. საბჭოს თანხმობის შესაბამისად გამოიცემა აკადემიური შვებულების თაობაზე რექტორის ბრძანება.

4. აკადემიურ შვებულებაში გასვლის მიზანი უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიზნებს.

5. აკადემიური შვებულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, აკადემიური პერსონალი ვალდებულია, შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

6. ამ მუხლის მე–4 პუნქტით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობის ან გაწეული მუშაობის ფაკულტეტის საბჭოს მიერ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალი ვალდებულია, დაუბრუნოს მიღებული საშვებულებო თანხა უნივერსიტეტს. ამასთან, აღნიშნული განიხილება აკადემიური პერსონალის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად.

7. აკადემიურ შვებულებაში გასულ აკადემიურ თანამდებობის პირზე გაიცემა საშვებულებო ანაზღაურება მიმდინარე სასწავლო წელს მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობისათვის უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით .

8. აკადემიური შვებულება ანაზღაურდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და გაიცემა წინასწარ, დამსაქმებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

„მუხლი 27. წახალისების ფორმები“:

1. პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევით, შრომით საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი სახეები:

ე) რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე გაგზავნა (სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფით);

ვ) საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების და მეცნიერული კვლევების შედეგების გამოქვეყნებაში ხელშეწყობა (ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფით);

ზ) წიგნების გამოცემაში ხელშეწყობა;

3. ამმუხლისპირველიპუნქტის “ე”და “ვ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომებით უნივერსიტეტის თანამშრომლის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის წარდგინებით.

„მუხლი 40. სტუდენტის წახალისება“:

1. სწავლასა და სამეცნიერო კვლევებში მიღწეული წარმატებისა და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი სახეები:

დ) რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობისათვის გაგზავნის ხელშეწყობა (სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა);

ე) საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების და მეცნიერული კვლევების შედეგების გამოქვეყნებაში ხელშეწყობა (ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა)

5. ამ მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წახალისების ზომის გამოყენების შესახებ ბრძანებას, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობით გამოსცემ სადმინისტრაციის ხელმძღვანელი“.

დაგეგმილია სტრატეგიული გეგმით კვლევის შედეგების ასახვა პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე.

მუხლი 16. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო მიზნებთან და გეგმებთან შესაბამისობით სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მიზანია:

- მხარი დაუჭიროს კვლევით საქმიანობას;

- უზრუნველყოს წარმატებული სამეცნიერო კვლევების სტაბილურობა;
- შექმნას და შეინარჩუნოს სათანადო დონის კვლევითი გარემო;
- ხელი შეუწყოს მკვლევრების (მ.შ. დოქტორანტების) მუდმივ პროფესიულ ზრდას.

საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ინსტრუქციებით გათვალისწინებული შეფასების გარდა ყურადღება მახვილდება განმავითარებელი შინაარსის ღონისძიებებზე. უნივერსიტეტი განმავითარებელ მექანიზმად მიიჩნევს ისეთ აქტივობების დანერგვას ან/და არსებულის დახვეწას, როგორიც არის მაგალითად, უცხო ენის კომპეტენციის გაძლიერება, ახალგაზრდა მკვლევრების წახალისება და მათი როლის წამოწევა კვლევაში, საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართულობის ხელშეწყობა, საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგულ ჟურნალებში უნივერსიტეტის პროფესორების სტატიების გამოქვეყნების უზრუნველყოფა;

იმისათვის, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტაბილურ განვითარებას შეეწყოს ხელი, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია დატვირთვის სქემა, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო საქმიანობის სავალდებულო წილს და ითვალისწინებს სამეცნიერო აქტივობებისა და ღონისძიებათა მრავალფეროვან ჩამონათვალს. უნივერსიტეტის მიერ აღიარებული ღირებულება - თავისუფლება, ამჯერადაც გათვალისწინებულია და პროფესორს ეძლევა შესაძლებლობა, თავისუფლად აირჩიოს სასურველი სამეცნიერო აქტივობები და ისე დაგეგმოს სასწავლო წელი.

შენიშვნა: სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების შემთხვევაში უნდა მიეთითოს

- იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემაში გამოქვეყნებისას-სტატიის/ნაშრომის სრული დასახელება, ჟურნალის/გამოცემის დასახელება (ISSN/ISBN-ის ჩვენებით), წელი, ნომერი, გამოცემის ადგილი, სტატიის/ნაშრომის DOI, ჟურნალის/გამოცემის იმპაქტ-ფაქტორი (არ უნდა იყოს 0-ის ტოლი), ციტირების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში), URL მისამართი, (ჟურნალი ინდექსირებული უნდა იყოს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბაზების ჩამონათვალში);

- საერთაშორისო ან ადგილობრივ გამოცემაში გამოქვეყნებისას-სტატიის/ნაშრომის სრული დასახელება, ჟურნალის/გამოცემის დასახელება (ISSN/ISBN-ის ჩვენებით), წელი, ნომერი, გამოცემის ადგილი, ელ. ვერსიის არსებობის შემთხვევაში URL მისამართი;

მუხლი 17. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამებში

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამეცნიერო საქმიანობის კონცეფცია ეფუძნება ხედვას, რომ „ყველა საფეხურზე კვლევაზე დაფუძნებული განათლების განხორციელება არის ევროპისა და ევროპული უნივერსიტეტების განსაკუთრებული სიძლიერე. ინსტიტუციები, რომლებიც კვლევაზე დაფუძნებულ განათლებას ახორციელებენ, უნდა დარწმუნდნენ, რომ კვლევითი კომპონენტი ჩართულია და ვითარდება ყველა საფეხურზე" (EUA Lisbon Declaration – "Europe's Universities beyond 2010: Diversity with a common purpose". 2010.).

სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულია კვლევითი ასპექტები. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ურთიერთმიმართება დამოკიდებულია საგანმანათლებლო საფეხურზე, პროგრამის მიზნებსა და პროფილზე. საფეხურის ზრდასთან ერთად იცვლება ეს თანაფარდობა და სადოქტორო საფეხურზე კვლევითი კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამის წამყვან კომპონენტად გვევლინება. საბაკალავრო-სამაგისტრო დონეზე სამეცნიერო კომპონენტის დაგემვა-შეფასება დეტალურად წარმოდგენილია თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში, რაც ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ ზოგად ინსტრუქციებს.

ვინაიდან კვლევა მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი მესამე საფეხურზე და, ზოგადად, სტუდენტის კვლევითი კომპონენტი ძირითადად ეფუძნება უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევას, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დოქტორანტურას. ის, რომ სადოქტორო კვლევის შედეგები უნდა აკმაყოფილებდეს კვლევის ორიგინალობის მოთხოვნას და ვარგისი იყოს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში გასავრცელებლად, ასახულია ფაკულტეტების დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებში. ფაკულტების დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებში განსაზღვრულია კვლევითი კომპონენტი.

,, კვლევითი კომპონენტი:

სადოქტორო დისერტაციის მომზადება და დაცვა.

დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს ასრულებს ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. სამეცნიერო ხელმძღვანელთან განხილვისა და შეთანხმების შემდეგ, ყოველი სემესტრის ბოლოს წარმოადგენს ანგარიშს ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ნაშრომი დასრულებულად ითვლება, თუ კვლევის მიზანი მიღწეულია, ასახულია თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებული შედეგები. ნაშრომი უნდა გამოირჩეოდეს მეცნიერული სიახლით და წვლილი უნდა შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობითა და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და შესაბამისად მისი წარმოდგენის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს საჭიროების შემთხვევაში. დოქტორანტები, რომელთაც შესრულებული აქვთ ამ დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ დადგენილი წესით.‘‘

სადოქტორო განათლებისთვის უმნიშვნელოვანესია **მრავალფეროვნება და ინტერნაციონალიზაცია**, რაც ფაკულტეტების დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებში განსაკუთრებითაა ხაზგასმული, როგორც სავალდებულო მოთხოვნა, ამის გარდა ყურადღება მახვილდება მობილობის ხელშეწყობაზე.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო განათლების ხელშესაწყობად შემუშავებულია **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები,** რომლებიც ითვალისწინებს მესამე საფეხურის მოთხოვნებსა და ზემოაღნიშნულ კომპონენტებს.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტარატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს **სადოქტორო სკოლის** ჩამოყალიბებას, რომელსაც მივიჩნევთ სადოქტორო განათლების მოქნილ სტრუქტურად, რომელიც დოქტორანტს, როგორც დამწყებ მკვლევარს, აძლევს პერსონალური და კარიერული განვითარების ფართო შესაძლებლობას. ხელს უწყობს დოქტორანტის ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას და, ასევე, ზრუნავს ხელმძღვანელობის კულტურის განვითარებაზეც.

მუხლი 18. სამეცნიერო საქმიანობის სტანდარტები (სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების წესი და პირობები)

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში ,,უნივერსიტეტი" ან ,,სჯსუ") სამეცნიერო ღონისძიებების დაგეგმვის, ორგანიზების, ჩატარების, მონაწილეთა შერჩევის, შეფასების და დაჯილდოების წესს.

2. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ღონისძიება გულისხმობს სამეცნიერო კონფერენციას, სამეცნიერო სიმპოზიუმს, სამეცნიერო სემინარს, სამეცნიერო სესიას, სეზონურ სკოლას ან კომბინირებულ ღონისძიებას (მაგ. სეზონური სკოლისა და კონფერენციის ორგანიზებას) და სხვა.

ტერმინთა განმარტება:

სამეცნიერო კონფერენცია - სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების კრება, თათბირი ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემატიკის საკითხის განსახილველად

სიმპოზიუმი - წვეულება, საერთაშორისო თათბირი რაიმე სამეცნიერო საკითხზე.

სამეცნიერო სემინარი - ჯგუფური სამეცნიერო სამუშაო შეხვედრა

სამეცნიერო სესია - პერიოდული სხდომა, რომელსაც ატარებენ სამეცნიერო დაწესებულებები და სხვ.

3. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ღონისძიება შეიძლება გაიმართოს:

ა) მასშტაბის მიხედვით -

- საერთაშორისო
- რესპუბლიკური
- უნივერსიტეტთაშორისი
- საუნივერსიტეტო
- საფაკულტეტო

ბ) მონაწილეთა მიხედვით:

- პროფესორ-მასწავლებელთა
- სტუდენტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)
- ერთობლივი (ბაკალავრთა და მაგისტრანტთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა, დოქტორანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა....)

გ) შინაარსის მიხედვით -

- თემატური
- განუსაზღვრელი თემატიკით

დ) ფორმატის მიხედვით:

- დისტანციური
- უშუალო მონაწილეობით
- შერეული

4. სამეცნიერო ღონისძიებების მიზანია, ხელი შეუწყოს:

ა) მეცნიერების განვითარებას, მეცნიერებაში ახალი კადრების მოზიდვასა და პოპულარიზაციას, ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას, თანამშრომლობის ინიცირებასა და გაღრმავებას, ახალი სამეცნიერო იდეების შექმნას;

ბ) სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობას, წაახალისოს ახალგაზრდა მკვლევრები შემდგომ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩასართავად; შესძინოს მათ სამეცნიერო კონფერენციისთვის მომზადებისა და მასში მონაწილეობის

ჩვევები; გამოუმუშავოს დამოუკიდებელი კვლევისა და მიღებული შედეგების პრეზენტაციის, დაცვის უნარი, აამაღლოს სტუდენტთა ინტერესი მეცნიერებისა და კვლევის მიმართ.

5.სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება

5.1. სამეცნიერო ღონისძიებას უნდა ჰყავდეს ინიციატორი პირი/სტრუქტურა/ორგანიზაცია. სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის კოორდინაციით იქმნება სამეცნიერო ღონისძიების საორგანიზაციო ორგანო. სამეცნიერო ღონისძიებას შეიძლება ჰყავდეს სამეცნიერო კომიტეტი. სტუდენტთა სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებაში შეიძლება ჩაერთოს სტუდენტთა თვითმმართველობა ან დამოუკიდებლად გაუწიოს თვითონ სტუდენტურმა თვითმმართველობამ ორგანიზება.

5.2. საორგანიზაციო ორგანო სამეცნიერო კომიტეტთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პასუხისმგებელია ღონისძიების შესაბამისი დონით ჩატარებაზე, მის შინაარსზე, უზრუნველყოფს სამეცნიერო ღონისძიებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შერჩევას.

5.3. საორგანიზაციო ორგანოს წევრი შეიძლება იყოს სჯსუ–ს აკადემიური თანამდებობის პირი, ასევე მოწვეული პერსონალი (სპეციალისტი/მასწავლებელი). საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, დოქტორი, მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, სჯსუ-ს დოქტორანტურის, მაგისტრატურის სტუდენტი. შეიძლება ჩართული იყვნენ პირები, რომლებიც ეხმარებიან ძირითად წევრებს ტექნიკური ამოცანების გადაჭრაში.

5.4. სამეცნიერო კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს სჯსუ–ს აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც პასუხისმგებელია ღონისძიების სამეცნიერო შინაარსზე; ასევე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი,

5.5. საორგანიზაციო ორგანო (სამეცნიერო კომიტეტი) შეიმუშავებს სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების შესახებ განაცხადს, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

ღონისძიების ორგანიზატორის, მიზნის, ფორმის, მასშტაბის, შინაარსის, მონაწილეთა ჯგუფის, ჩატარების ფორმატის, ადგილის, მოხსენებების მიღების პირობების, ტექნიკური პარამეტრების, საორგანიზაციო დეტალებისა და საკონტაქტო პირის/პირების შესახებ. განისაზღვრება მონაწილეთა რეგისტრაციის ადგილი და ფორმა (ელექტრონული ან შერეული).

5.6. საორგანიზაციო ორგანო უზრუნველყოფს სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების შესახებ განაცხადის გასაჯაროებას. სავალდებულოა განაცხადის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ და ფეისბუკგვერდებზე, საინფორმაციო დაფაზე.

5.7. საორგანიზაციო ორგანო (სამეცნიერო კომიტეტი) შეიმუშავებს სამეცნიერო ღონისძიების პროგრამას. პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) უნივერსიტეტის, ფაკულტეტის და/ან თანამონაწილე ორგანიზაციების დასახელებას;

ბ) სექციების დასახელებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ)თითოეული სექციის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების ვინაობას აკადემიური თანამდებობის ან სამეცნიერო ხარისხის მითითებით; სტუდენტური ღონისძიების შემთხვევაში თანახელმძღვანელი უნდა იყოს სტუდენტი.

დ) კონფერენციის სამუშაო გეგმას (თარიღი, მუშაობის დაწყება-დამთავრების დრო, რეგლამენტი, კორპუსი, აუდიტორია);

ე) მომხსენებლის გვარსა და სახელს სრულად, ორგანიზაციას, რომელსაც წარმოადგენს, სტუდენტის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა და კურსი;

ვ) მოხსენების სრულ დასახელებას;

ზ) სტუდენტის შემთხვევაში მეცნიერ-ხელმძღვანელის გვარსა და სახელს სრულად, აკადემიურ თანამდებობას ან სამეცნიერო ხარისხს. სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება აქვთ სჯსუ-ს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს. ღონისძიებაზე მონაწილეობის მისაღებად დაიშვება სტუდენტი, რომლის მოხსენება ვიზირებულია სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელის მიერ.

6. საკონფერენციო ნაშრომების შეფასება და გამოქვეყნება

6.1. სამეცნიერო ღონისძიების საორგანიზაციო ორგანო (სამეცნიერო კომიტეტი, სამეცნიერო საბჭო და სხვ.) რექტორის მოადგილის კოორდინირებით ვიზირებას უწევს სამეცნიერო ღონისძიებაზე წარმოდგენილ ნაშრომებს გამოსაქვეყნებლად.

6.2. საორგანიზაციო ორგანოს (სამეცნიერო კომიტეტის) წევრი ვალდებულია, თავი აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას (არ შეაფასოს სამეცნიერო ნაშრომი, თუ ის ამ ნაშრომის ხელმძღვანელია ან/და არსებობს პირდაპირი ნათესაური კავშირი (პირველი რიგის ნათესავია) სამეცნიერო ნაშრომის ავტორთან ან/და არსებობს ინტერესთა კონფლიქტის სხვა გარემოება).

6.3. წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) თემის აქტუალურობა

ბ) კვლევა და ანალიზი

გ) დისკუსია და დასკვნა

დ) გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია

ე) ენობრივ-სტილისტური და სტრუქტურული გამართულობა

6.4. საორგანიზაციო ორგანო (სამეცნიერო კომიტეტი) კოლეგიალურად იღებს გადაწყვეტილებას ნაშრომის პუბლიკაციის შესახებ. ნაშრომი შეიძლება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტში არსებულ სამეცნიერო გამოცემებში ან კონფერენციის მასალების სახით.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

19.1 წინამდებარე დოკუმენტი მტკიცდება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებები და დამატებები შედის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ცვლილებების განხორციელება:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 24.02.2022 წლის დადგენილება №19.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 04.04.2024 წლის დადგენილება MES 6 24 0000392927

დანართი 1.

სამეცნიერო-კვლევითი გეგმის აღწერა

1. გეგმის სახელწოდება
შენიშვნა: მიუთითეთ სახელწოდება ერთი წინადადებით.

2. ინფორმაცია განმცხადებელზე
შენიშვნა: მთავარი განმცხადებელი არის ის პირი, ვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა კვლევის განხორციელებაზე. მთავარი განმცხადებელი არ შეიძლება იყოს სტუდენტი ან კვლევის ასისტენტი. კვლევებისთვის, სადაც სტუდენტები ან/და კვლევის ასისტენტები ახორციელებენ კვლევას, მთავარი განმცხადებელი ჩვეულებრივ იქნება მათი ხელმძღვანელი.

გვარი, სახელი	
ფაკულტეტი/კვლევითი ინსტიტუტი	
თაანამდებობა/საქმიანობა	
აკადემიური ხარისხი:	
სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია	
საკონტაქტო ინფორმაცია	
ქვეყანა:	
ქალაქი:	
მისამართი (დაწესებულების):	
საფოსტო ინდექსი:	
ტელეფონი:	
ელ.ფოსტა:	
ფაქსი:	

3. თანაგანმცხადებელი
შენიშვნა: მიუთითეთ ინფორმაცია კვლევაში ჩართული ყველა მკვლევრის შესახებ. დაამატეთ ველები საჭიროების შემთხვევავაში.

გვარი, სახელი	

ფაკულტეტი/კვლევითი ინსტიტუტი	
თაანამდებობა/საქმიანობა	
აკადემიური ხარისხი:	
სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია	
საკონტაქტო ინფორმაცია	
ქვეყანა:	
ქალაქი:	
მისამართი (დაწესებულების):	
საფოსტო ინდექსი:	
ტელეფონი:	
ელ.ფოსტა:	
ფაქსი:	

4. კვლევის განხორციელების ადგილი

შენიშვნა: მიუთითეთ სად განხორციელდება კვლევა და სად მოხდება მონაცემთა ანალიზი. თუ კვლევის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სხვა უნივერსიტეტის, ინსტიტუტის ან/და ცენტრის რესურსი/ობიექტი, გთხოვთ, მიუთითეთ აღნიშნული უნივერსიტეტის/ინსტიტუტის/ ცენტრის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ელ. ფოსტა, ტელეფონის ნომერი) და საკონტაქტო პირის მონაცემები (სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა).

5. კვლევის დაწყებისა და დასრულების თარიღი

შენიშვნა: თუ ზუსტი თარიღები არ არის ცნობილი, მიუთითეთ სავარაუდო თარიღები.

6. კვლევითი პროექტის დაფინანსება

შენიშვნა: მიღებული აქვს თუ არა პროექტს დაფინანსება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ დაფინანსების წყარო (ფონდის სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა, ვებ-გვერდი).

7. კვლევითი პროექტის მიზნები და ამოცანები

შენიშვნა: აღწერეთ კვლევითი პროექტის მიზნები და ამოცანები (ჰიპოთეზა, საკვლევი კითხვები, ა.შ.); დაასაბუთეთ მისი განხორციელების საჭიროება უახლეს სამეცნიერო მტკიცებულებების გამოყენებით.

—

8. კვლევის მეთოდები და პროცედურები

შენიშვნა: აღწერეთ კვლევით პროექტში გამოყენებელი კვლევითი მეთოდები და განსახორციელებელი პროცედურები. აღწერეთ აღჭურვილობა და სხვა მასალები, რომელის კვლევაში გამოყენებას აპირებთ (კითხვარების, შესავსები ფორმების, ა.შ. გამოყენების შემთხვევაში, დაურთეთ ისინი განაცხადის ფორმას).

9. მონაცემთა დამუშავება და ნალიზი

შენიშვნა: აღწერეთ მონაცემთა დამუშავების მეთოდი, სტატისტიკური ანალიზისთვის გამოყენებული პროგრამა, ა.შ.

—

10. კველევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკები

შენიშვნა: აღწერეთ კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების ხასიათი და ხარისხი. აღწერეთ ყველა ის ფაქტორი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს კვლევაზე. რისკების არსებობის შემთხვევაში აღწერეთ მათი პრევენციის/აღმოფხვრის მექანიზმები.

11. ეთიკური საკითხები და მათი აღმოფხვრის მეთოდები/მექანიზმები

შენიშვნა: აღწერეთ ნებისმიერი დისკომფორტი ან სიძნელე, რომელიც შეიძლება განიცადონ კვლევის მონაწილეებმა. აღწერეთ ის პროცედურები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მონაწილეების ფიზიკური დატვირთვა ან გავლენა იქონიონ მონაწილეთა უსაფრთხოებაზე, მაგ. ხმაურის დონე, ვიზუალური სტიმულები, აპარატურა, ა.შ. მიუთითეთ რა პროცედურების განხორციელება მოხდება, თუ კვლევის შედეგად წარმოიქმნება კლინიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

12. სხვა ეთიკური საკითხები

შენიშვნა: აღწერეთ ყველა სხვა მნიშვნელოვანი ეთიკური საკითხი.

13. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის/მონაცემების სამომავლო გამოყენება

შენიშვნა: აღწერეთ კვლევის პროცესში მიღებული მონაცემების და კვლევის შედეგების სამომავლო გამოყენების გზები (მათ შორის, ინფორმაცია მათი კომერციული მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით).

14. მონაცემთა უსაფრთხოება კვლევის განხორციელების და დასრულების შემდეგ

შენიშვნა: აღწერეთ კვლევის მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები განხორციელებული კვლევის მიმდინარეობის დროს და კვლევის დასრულების შემდეგ.

15. ბიუჯეტი

№	ხარჯვის კატეგორია	მოთხოვნილი თანხა	დაფინანსების სხვა წყაროები (თანადაფინანსება)	
		სავარაუდო ჯამური ღირებულება	ჯამური ღირებულება (ლარებში)	თანადამფინანსებელი პირი ან ორგანიზაცია
2.				
3.				
4.	**სულ:**			

შენიშვნა: საერთაშორისო მივლინებებისათვის დანართის სახით წარმოადგინეთ საერთაშორისო მგზავრობისთვის ჩატარებული მარკეტინგული კვლევის დოკუმენტაცია.

სულ უნივერსიტეტიდან მოთხოვნილი თანხა ლარებში: _____

სულ თანადაფინანსება (ლარებში) _____

განმცხადებელი (სახელი, გვარი)	ხელმოწერა	თარიღი

16. პროექტების შეფასების კრიტერიუმები:

	შეფასების კრიტერიუმები	**ქულა**
	ნათლად არის ჩამოყალიბებული პრობლემის არსი, მიზანი და ამოცანები	14
2	აქვს მაღალი მეცნიერული და/ან პრაქტიკული მნიშვნელობა	25
3	ნათლად არის ჩამოყალიბებული მოსალოდნელი შედეგები, მათი მირწევისა და შეფასების მექანიზმები	30
4	პროექტის განხორციელებაში შემოთავაზებული დროისა და ბიუჯეტის ფარგლებში რეალისტურია	11

5	ნათლად არის აღწერილი ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდები, ხოლო არსებული და მოთხოვნილიმატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება რეალისტურია.	14
6	პროექტის განხორციელებისათვის გრანტის მაძიებელს გააჩნია სათანადო პროფესიული განათლება და კვალიფიკაცია.	16
	სულ:	**100 ქულა**

ცვლილებების განხორციელება:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 24.02.2022 წლის დადგენილება №19.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 04.04.2024 წლის დადგენილება №392927

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 13.02.2025 წლის დადგენილება №148249